ხაშურის მოამბე

№17 (488) 12 მაისი, ორშაბათი, 2025 წელი

შიდა ქართლის რეგიონს ახალი სახელმწიფო რწმუნებული ჰყავს

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობა სიმონ გულედანმა დაიკავა.

ასევე, ახალი რწმუნებულები დაინიშნნენ მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-

ჯავახეთში, გურიასა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

ახლად დანიშნულ სახელმწიფო რწმუნებულებს ირაკლი კობახიძე დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგიონული განვითარების მინისტრ კახა გულედანთან ერთად შეხვდა. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა რეგიონების განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ამ საკითხის პრიორიტეტულობაზე რეგიონული განვითარების სამინისტროს ცალკე უწყებად ჩამოყალიბებაც მეტყველებს.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, რეგიონების განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების ეფექტიანად განხორციელებას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა და ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რეგიონებს ჰყავდეს გამოცდილებით, პროფესიონალიზმითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული ხელმძღვანელები.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა პროექტების ხარისხისა და კოორდინაციის გაუმჯობესების აუცილებლობაზე და ახლად დანიშნულ სახელმწიფო რწმუნებულებს წარმატებები უსურვა.

პატარა ყელეთში, ღუდაში, ნარუჯევში, დამჩხეულასა და რბონაში (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების კენჭისყრის შედეგები ცნობილია

აღნიშნულ სოფლებში კენჭისყრის შედეგების შეჯამება, 6 მაისს დასრულდა. ხმის დათვლის პროცედურას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ლელა მაჭარაშვილი, იურიდიული სამსახურის უფროსი დავით ღვალაძე, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვეფხია ბლიაძე, მუნიციპალიტეტისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

მოქალაქეთა გადაწყვეტილებით, შერჩეული პროექტები დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

სოფლებში ხმის მიცემა განხორციელდა ტრადიციული მეთოდით.

კენჭისყრის შედეგები ასეთია:

პატარა ყელეთში ხმათა უმრავლესობა -26 ხმა მიიღო პროექტმა „ბეტონის გზის მოწყობა“. აქ წარდგენილი იყო მხოლოდ ერთი საპროექტო წინადადება და პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ღუდაში ხმათა უმრავლესობით - 12 ხმით გაიმარჯვა სასაფლაომდე მისასვლელი „ბეტონის გზის მოწყობამ“. აქ წარდგენილი იყო მხოლოდ ერთი საპროექტო წინადადება და პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ნარუჯევში, ორი საპროექტო წინადადებიდან, ხმათა უმრავლესობით- 5 ხმით გაიმარჯვა „ძველი გზის მოხრეშვამ და ბეტონის საფარის მოწყობამ“. გამარჯვებული პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

დამჩხეულაში, სამი საპროექტო წინადადებიდან, 17 ხმით გაიმარჯვა „ბეტონის გზის მოწყობამ, ტაბატაძეებისა და გოგალაძეების უბნის მიმართულებით.“გამარჯვებული პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

რბონაში, ორი საპროექტო იდეიდან, 12 ხმით გაიმარჯვა „სოფლის დასაწყისიდან ბეტონის გზის მოწყობამ.“გამარჯვებული პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

პროექტი სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის ყველა მოქალაქეს, ვინც სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაერთო. განსაკუთრებული მადლობა საპროექტო იდეების ავტორებს. იმედია, ისინი სამომავლოდაც აქტიურად ჩაერთვებიან სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტში და წარმატებას მიაღწევენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალური ა(ა)იპ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მოადგილეებთან - გიორგი პაპიაშვილთან და ზვიად გოგუაძესთან ერთად უძღვებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის წინამოსამზადებელ სამუშაოებზე იმსჯელეს.

მუნიციპალური სამსახურები დამოუკიდებლობის დღეს განსაკუთრებული მობილიზებით შეხვდებიან - გენერალურად მოწესრიგდება სკვერები და რეკრეაციული სივრცეები, შესაძლებლობის ფარგლებში (წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის მიმდინარეობის კვალდაკვალ), მაქსიმალურად დასუფთავდება და მოწესრიგდება ქუჩები და მოედნები.

დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებების შესახებ კი ინფორმაცია წინასწარ გავრცელდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის სამზადისთან დაკავშირებული შეხვედრები რეგულარულად იმართება.

ხაშურში აქტიურად გრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია

როგორც პროექტით იყო განსაზღვრული,მიმდინარე სამუშაოების გამო, 7 მაისს, დღის მეორე ნახევრიდან გადაიკეტა ბორჯომის ქუჩა, რის გამოც, მსუბუქი და სამგზავრო ტრანსპორტი გადაადგილებას შეძლებს აგარისა და დადიანის ქუჩის მიმართულებით. რაც შეეხება სატვირთო ავტომანქანებს, ისინი ისარგებლებენ სურამის შემოვლითი გზით-ცენტრალური ავტომაგისტრალით.

გარდა ამისა აგარის ქუჩაზე, ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ბორჯომის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოების გამო, შესაძლებელი გახდეს შემოვლითი-ალტერნატიული გზით კომფორტულად სარგებლობა. აგარის ქუჩაზე გათვალისწინებულია, საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა, სამეთვალყურეო კამერების დაყენება, გაკეთდება ლითონის (თვალამრიდი ზღუდარი) ჯებირები. რაც შეეხება ბორჯომის ქუჩას, სამუშოების დასრულებისთანავე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს მის სრულ რეაბილიტაციას- გარდა მოასფალტებისა, პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრეები და ტროტუარები.

სამუშაოებთან დაკავშირებით, გადაკეტილია ფარნავაზის ქუჩაც - სურამულას ხიდიდან გორმედის კლინიკის მიმდებარე ტერიტორიამდე. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ალტერნატიული გზით თაყაიშვილის ქუჩის გამოყენებით. ფარნავაზის ქუჩაზე სამუშაოები 1 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი , სახელმწიფო დაფინანსებით, საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს AFD და EU-ს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს.

პროექტის პარალელურად, სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებით, ხორციელდება: სათავე ნაგებობის, სატუმბო სადგურების, წნევიანი მაგისტრალებისა და რეზერვუარების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები.

სოფელ ვაყაში შიდა გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

„ვაყა მჭიდროდ დასახლებული სოფელია, შესაბამისად, შიდა გზების მოწესრიგება აქაური მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია.პროექტის ფარგლებში, ეწყობა სამი შიდა საუბნო გზა, ერთ უბანზე უკვე მეორე ფენა ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს, დანარჩენ უბნებზე- სანიაღვრეების მოწყობისა და გზის რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილისა და და

ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვეფხია ბლიაძის განმარტებით, სამუშაოები თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 454 089 ლარს შეადგენს.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16).

ნაქერალი - ადგ., სათესი
ნაღომარი - ადგ., სათესი, სათიბი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე თურმე ღომი ითესებოდა”, ,,ღომი მოყავდათ”.
რეზიკოს წყარო - ადგ., წყარო სამხრეთის მხარეს, ამოდის მიწიდან.
რცხილნარი - ადგ., ტყე სამხრეთ-აღმოსალეთის მხარეს, ,,ახოს თავზე, გოლიქაფოს ხევი რომ იწყება”.
სათივის სერი - ადგ., სერი სამხრეთის მხარეს. ,,თივას ამზადებდნენ”.
სათივის წყარო - ადგ., წყარო სამხრეთის მხარეს.
სანახშირე - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,რომ გადავივლით თრიალეთის ქედს, არის ვაკეები. აქ მზადდება მუხის ნახშირი”.
საფუტკრე - ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ფუტკარი ჰყავდათ დაყენებული”.
სერები - ადგილი, ფერდობი ჩრდილოეთის მხარეს.
ტატულას მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ტატულა იყო ერთი, რბონელი, რომელსაც ეკავა ეს მიწები. გლეხი იყო. კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, ჩვენ დავიკავეთ. ახლა სათიბია”.
უღელტეხილი - ადგ., გადასასვლელი, ტყე, საძოვარი სამხრეთის მხარეს
ფერდი - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს
ფერდები//ფერდი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა გაშენებულია ფიჭვი, ტყემალი”.
ქარტა - ადგ., მთა, ტყე, საძოვარი სამხრეთის მხარეს.
ქაშვეთგადაღმა - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა საძოვარია” ქაშვეთი - ადგ., სალოცავი, ეკლესია. ქაშვეთის წყარო - ადგ., წყარო სოფლის ცენტრში.
ღამურასკლდე - ადგ., კლდე, გამოქვაბული სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.
ღელისპირები - ადგ., სათესი სამხრეთის მხარეს ქაშვეთგადაღმას მომიჯნავე ტერიტორია.
ღონღაძის ქარტა - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს.
ღორინამკალი - ადგ., მთა სამხრეთ-დასავლეთს მხარეს.
შარაღელე - ადგ., ღელე.
შერთული - ადგ., ტყე. ორწყლის შეერთების ადგილი.
შემაღლებული - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,მაღალი ადგილია ცოტა და ვეძახით შემაღლებულს. ახლა საძოვარი და სათიბია”.
ჩხოვერი - ადგ., სათესი
ცინაძეების წყარო - ადგ., წყარო სოფელში.
ცინაძისკალო - ადგ., ნაკალოვარი ჭაობის თავზე ჩრდილოეთის მხარეს. ცოცხნარი - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,ველური ცოცხის ბუჩქები იზრდებოდა, კაი დიდი ტერიტორიაა”.
ცხელავაკე//რცხილავაკე - ადგ., სახნავი, საძოვარი, სათიბი სამხრეთის მხარეს. ,,ძალიან დიდი სიცხე იცის. ახლა ფიჭვია გაშენებული”. ,,სულ მზეა, ცხელი ადგილია”, რცხილის ვაკე.
ძარებისღელე - ადგ., ღელე.
წინწკილა - ადგ., იგივეა რაც წიწკილა.
წიწკილა - ადგ., წყარო, ტყე სამხრეთის მხარეს. ,,წინწკილით მოდის წყარო”.
წიფლნარი - ადგ., ტყე, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ცხელვაკის ზემოთ არის. მეტი წილი წიფლნარია”. `ახლა ფიჭვია გაშენებული”.
წყაროს თავი - ადგ., ტყე, მინდორი, საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ჭაობი - ადგილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,დაჭაობებული ადგილებია, მთლიანად ღრმულია, ხევია”.
ჭენჭყი - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,ნესტიანი ადგილია”.
ჭინჭარი - ადგ., ტყე, მიდორი, საძოვარი, სათესი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,მეტი წილი ჭინჭარია”, ,,ჭინჭარი იყო უმეტესი”.
ხრიალა - ადგ., ტყე, კლდე აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ სულ ხრიალის ხმა ისმისო”. ,,კლდიანი ფერდობია ქვები ცვივა ხრიალით ყოველთვის”.
ჯინჯარი - ადგ., იგივეა რაც ჭინჭარი.

სოფელი ცხრამუხა

ბირკაძეების უბანი - ადგ., უბანი აღმოსვლეთის მხარეს. ,,მეტწილად ბირკაძეები ცხოვრობდნენ, სხვადასხვა გვარი კანტიკუნტად ცხოვრობდა”.
ბორჯომის რკინიგზის მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.
ბუთუას მორევი - ადგ., მორევი სამხრეთის მხარეს მდ. მტკვარზე. ,,აქაური კაცი იყო, ებანავნა, იხრჩობოდა და იქიდნ დაარქვეს”, ,,ოთხი ტოტი ერთდებოდა ბუთუას მორევში. ღრმა იყო. ბუთუა ყობიაშვილი ყოფილა. გადმოცემით მანდ ტივი დაუმტვრევია და დამხჩვალა. მეტივე იყო. ცხრამუხაში ორი კომლი ცხოვრობდა ყობიშვილი”. ,,აქ ვაბამდით-ხოლმე ტივებს, რომ ჩამოვიდოდა ახალდაბიდან, აქ ვისვენებით“.
გაგანიას საფაცრე - ადგილი სამხრეთით მდ. მტკვარზე. ,,გაგანია გაღმიდან იყო, ფაცრებს აგებდა”.
გაგანიას წისქვილი - ადგ., სამხრეთის მხარეს ნაწისქვილარი.
გაგნიძეების მიწა - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსალეთის მხარეს. ,,მეტწილად გაგნიძეებს ეკავათ ეს ადგილი. ორი კომლი ცხოვრობს ცხრამუხაში”.
გოგნიაშვილების უბანი - ადგ., უბანი სამხრეთის მხარეს.
გოხები - ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ქვიშიანი მიწა იყო და მარტო საძოვრად ვხმარობდით. მწირი მიწაა. გაზაფხულზე ბალახი მწვანეა, მერე ხმება”.
დათიკოს მუხა - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,დიდი მუხა იდგა. დათიკო ლაცაბიძე იყო”.
დიდი ვენახი - ადგ., ვენახი. გორა გიგოლას ძე ტალახაძესა და მის შვილებს- დავით, არჩილ, ვლადიმერ და იოსებ ტალახაძეებს შორის, 1938 წლის გაყრის განაჩენით, ვენახი განაწილდა მათ შორის .
ეკლესიის უბანი - ადგ., უბანი ჩრილოეთის მხარეს. ,,შემოსასვლელი გზის გასწვრივ, აქ ეკლესიაა და ამიტომ ვეძახით”.
ვეფხვაძეების მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,უფრო ბეკმელ კიკაძეებს ჰქონდათ ეს ადგილი, მაგრამ ვეფხვაძეების მიწებს ვეძახდით, მათ ემხრობოდა უფრო. გაგრძელებული იყო ტეზრის მიწამდე”.
ეკლესიის მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,წმინდა ნინოს ეკლესიის დასავლეთით არის”.
კაბლები - ადგ., საძოვარი, სათესი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,იქ, სადაც ახლა რბონის ხიდია. კაბლებს ვეძახდით მდინარის ტოტებს. ოთხ ტოტად იყო აქ მტკვარი”.
კოდოხეები - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,იქ სადაც ახლა დიდი ბაზარია, ადრე აეროდრომი რომ იყო. კოდოხეები აბაიაძეების ზედმეტი სახელი იყო”.
კოპაძეების უბანი - ადგ., უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში.
კოღუა//კოღუას მიწები - ადგ., ნასოფლარი, სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,საძოვარი იყო, სიცხეში კოღო ცოდნოდა”. ,,აქ ჩაჩანიძეები ვიყავით უწინ დასახლებულები. ჩიგვნარი იყო, კოღო იყო, ვერ გაივლიდი“.
კოღუას ხოდაბუნი - ადგილი. იხ. ოსიაურის ჭალა.
კოშკი - ადგილი, კოშკი სოფლის ცენტრში. ,,ადრე ლეკიანობა რომ ყოფილიყო, ამ კოშკში აფარებდნენ თავს. მერე საწყობად გადააკეთეს, ბუღალტერიაც იყო მეორე სართულზე”.
ლაცაბიძეების უბანი - ადგ; უბანი
მანჩხაშვილების მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ტეზრელები იყვნენ, ცხრამუხელებმა შევისყიდეთ და ჩვენ დავიკავეთ”.
მიხას მუხა - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,პატარა მუხა იდგა. მიხა ლაცაბიძე იყო”. მიტუშას ტყე - ადგ., ტყე. ,,მიტუშა აბაშიძე იყო”
მუხის მიწები - ადგ., სათესი. ნაკალოვარი - ადგილი. გელაშვილებს შორის 1939 წლის 24 ნოემბრის გაყრის განაჩენით მიეცა `გიორგი გელაშვილს სამოსახლოდ ადგილი ნაკალოვარზე აღმოსავლეთიდან გადმოჭრით ნახევარი სამხრეთ მხარეს”.

ნაფუტარი მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,რიყიანი, უვარგისი მიწები იყო. მაინც ვიყენებდით სახნავად. საქონელი გვყავდა და ნაკელს ვაყრიდით. ქერს, შვრიას ვთესავდით საადრეოდ (ერთ წელიწადს, რომ დაასვენებენ მიწას, მერე ვხმარობდით. ასეთ მიწას ვეძახდით ნარბილებს). სანამ ზაფხული დადგებოდა, მანამ, რომ აგვეღო მოსავალი“.
ნაძვნარი//ნაძვის მიწები - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,ახალი ეკლესიის დასავლეთით, რბონისაკენ, ნაძვნარი ყოფილა ადრე, ახლა აღარ არის. ქარსაცავი ზოლიც იყო, ახლა აღარც ქარსაცავია”.
ნახვეტრები - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,თერხვი იცოდა, ქარი რომ იყო, ფხვიერ მიწას მოხვეტავდა.”
ნახატრის მიწა - ადგ; იგივე ნახვეტრები. აქ, 1856 წლის 25 მაისს, ივანე ჩხეიძემ მიწა მიჰყიდა დათია ცერცვაძეს: ,,გორის უეზდის და სურამის უჩასტკის სოფელსა ტეზრის მებატონემ ქაიხოსრო[ს] ძემ ივანე ჩხეიძემა და შვილმა ჩემა მოგყიდე ჩემი მამა-პაპეული, უდავო მიწა, მდებარე ნახატრის მიწა, შენ საბატონო გლეხს დათია, ნინიკა, სოსიკა და გლახა ცერცვაძეთა, ცხრამუხაში მცხოვრებელთ, ოთხი დღისა, რომელიცა დაიწერება თავის სამძღვრებითა: აღმოსავლეთითა სახემწიფო გლეხი თომა კიკაძის მიწის მიდგმამდინა, დასავლეთითა გაბრიელა აბრამაშვილის მიწის მიდგმამდინა, დასამხრეთი აზნაურის ზაქარია ორჯონიკიძის მიწის მიდგმამდინა და ჩრდილოეთითა ჩემის კაცის ჭადაშვილის მიწის მიდგმამდინა...“.
ორმუხები - ადგ., მინდორი, დასახლება ცხრამუხაში, ხაშურში აღმოსავლეთის მხარეს. ,,ორი მუხა ყოფილა. რომ შეეკითხებოდი კაცს, სად მიდიხარო, ორმუხებისკენო, იყო პასუხი”.
პირდაპირი - ადგ., გზა, მიემართება სოფლიდან სამხრეთისაკენ მდ. მტკვრისკენ. ,,ამ გზაზე ცხოვრობენ ლაცაბიძეები, კოპაძეები და ხმალაძეები”.
სააგურეების მიწები - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბირკაძე ვანოს ჰქონდა აქ სააგურე”.
სამხედროების მიწები - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ სამხედრო ნაწილი იდგა, იქ სადაც ახლა ატეკაა, ჩვენი მიწები იყო”.
საჯვარე - ადგილი, სალოცავი სოფლის ცენტრში. ,,უწინ ეს ცენტრალური გზა არ ყოფილა. რბილი გზა ყოფილა და აქ ცერცვაძეების უბანზე გაივლიდნენ ცხენებით. აქ ყოფილა ცხრა მუხა. ერთ მუხაზე ყოფილა ცხრა ტოტი და აქედან დაარქვეს ცხრამუხა”.
სუხიაშვილების უბანი - ადგ., უბანი აღმოსავლეთის მხარეს.
ღელის მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,იქ, სადაც ახლა წყალსადენის სათავეა, დაბალი ადგილია, ჩავარდნილი ადგილი ყოფილა, ღელეები ყოფილა”
ჩაჩანიძეების ჭა - ადგ., ჭა ჩაჩანიძეების უბანში.
ჩაჩანიძეების უბანი - ადგ., უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. ,,ჩაჩანიძეების უბანი სამების ტაძრის გადასწვრივ იყო. შემდეგ გადმოდიან ცხრამუხის აღმოსავლეთით, სადაც დღეს არიან“(პ. ჩაჩანიძე).
ჩიტაძეების უბანი - ადგ; უბანი
ცერცვაძეების უბანი//ღონღაძეების უბანი - ადგ., უბანი დასავლეთის მხარეს. ,,ერთ მხარეს ცერცვაძეები ცხოვრობენ, მეორე მხარეს ღონღაძეები”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

3 მაისს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე აღინიშნა. პრესის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ხაშურის #1 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა და სკოლის თვითმმართველობის წევრებმა. მოსწავლეებმა საკუთარები ნაშრომები წაუკითხეს მსმენელს. საუკეთესო ესეები დღეს მკითხველის წინაშე გამოგვაქვს. შთამბეჭდავი და დამაფიქრებელია მომავალი თაობის ნაფიქრი და ნააზრევი. მათეული სამშობლოს გაგება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეცნობა, მათი ხედვები და შეხედულებები.

აქვე გვინდა, აღვნიშნოთ მათი პედაგოგის, ქალბატონი ფატი კურტანიძის ღვაწლი, რომლის დიდი დამსახურებაა, რომ მოსწავლეები ასე შესანიშნავად აზროვნებენ და, რაც მთავარია, ამ ნააზრევში გამოკვეთილად ჩანს, რომ ქვეყნას, მათი სახით, ნამდვილი პატრიოტები ეზრდებიან.

სამშობლოდან გაქცევა - ხსნა თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება

ადამიანი, როგორც გონებრივი და სულიერი არსება, მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთარ სამშობლოსა და ფესვებთან. ეს კავშირი არა მხოლოდ გეოგრაფიული სივრცით განისაზღვრება, არამედ ფასეულობებით, კულტურით, ტრადიციებით, ენითა და მეხსიერებით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. როდესაც ადამიანი ტოვებს ამ სივრცეს - ზოგჯერ იძულებით, ზოგჯერ კი ნებით, ჩნდება რთული კითხვა: არის ეს გაქცევა ხსნა, რომელიც მას ახალ ცხოვრებას, სიმშვიდესა და თავისუფლებას მოუტანს - თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, საკუთარ ტვირთზე უარის თქმა?

გაქცევა ზოგჯერ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ომი, დევნა, სიღარიბე ან უშედეგო ბრძოლა უფლებების დაცვისათვის ადამიანებს აიძულებს დატოვონ ყველაფერი ნაცნობი და უცხო სამყაროსაკენ გადადგან ნაბიჯი. ამ შემთხვევაში, ხსნა, შესაძლოა, არა მხოლოდ პირად გადარჩენას, არამედ საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებას, ღირსებასა და იდენტობის შენარჩუნებასაც ნიშნავდეს.

თუმცა, არსებობს მეორე შემთხვევაც - როდესაც ადამიანი ტოვებს სამშობლოს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი აარიდოს სირთულეს, უარის თქმას მოქმედებაზე ან ხელი აიღოს ბრძოლაზე უკეთესი ხვალინდელი დღისათვის, ეს შეიძლება პასუხისმგებლობის აცილებად ჩავთვალოთ. სამშობლოს მიმართ მოვალეობა ნიშნავს - დარჩე, იბრძოლო, შექმნა, შეცვალო, ააშენო. გაქცევით კი, შესაძლებელია, სწორედ ის იმედი გაუცრუო სამშობლოს, რომელსაც შენი წილი ქმედება სჭირდება.

ამ ორ შემთხვევას შორის ზღვარი ხშირად ბუნდოვანია. ზოგჯერ ხსნა და პასუხისმგებლობა ერთმანეთს ებმის, ერთმანეთს ავსებს ან ეწინააღმდეგება. მაგრამ ერთი რამე უდაოა - სამშობლოს მიტოვება სულიერი და მორალური დილემაა, რომლის პასუხიც მარტო თვით ადამიანში იბადება, და ისიც მუდამ ტკივილით და სიხარულის განცდით.

მარიამ ლომუაშვილი, მე-9 ბ კლასის მოსწავლე

ზოგჯერ აადამიანს უწევს მიმე გადაწყვეტილების მიღება - დარჩეს თუ წავიდეს თავისი ქვეყნიდან. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სიღარიბით, დევნით ან უკეთესი მომავლის ძიებით. ასეთ დროს ჩნდება კითხვა: არის ეს ქმედება ხსნა თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება?

პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წასვლა არის ერთადერთი, გზა სიცოცხლისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად. როცა ადამიანი ომშია ან პოლიტიკურად იდევნება, მას არ აქვს სხვა არჩევანი. ასეთ დროს, სამშობლოდან წასვლა შეიძლება იყოს ხსნა და არა საკუთარი მოვალეობისგან თავის არიდება. მეორე მხრივ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის და არ ცდილობენ არაფრის შეცვლას სამშობლოში. ასეთ დროს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი იშორებენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას - დარჩნენ, იბრძოლონ საკუთარი მომავლისთვის და დაეხმარონ საზოგადოების განვითარებას.

ამ საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ფესვების მნიშვნელობა. ფესვები სიმბოლურად აღნიშნავს ადამიანის კავშირს თავის კულტურასთან, ტრადიციებსა და იდენტობასთან.

სამშობლოდან წასვლა არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკურ გადაადგილებას. ეს გადაწყვეტილება ზუსტად გვიჩვენებს ადამიანის დამოკიდებულებას თავისი ქვეყნისადმი, დაეხმარება ის მამულსშორიდან თუ სრულიად წყვეტს მასთან კავშირს.

დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს ერთი სწორი პასუხი. ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე, გადაწყვეტილების მიზეზებზე და იმაზე, რჩება თუ არა ადამიანში სურვილი, იმოქმედოს თავისი სამშობლოსთვის, მიუხედავად იმისა, სად იმყოფება.

მედეა მულაძე, მე-9 ბ კლასის მოსწავლე

სამშობლო თითოეული ადამიანის არსებობის ფუძეა. ეს არის ჩვენი ისტორიის, კულტურის, მორალური ღირებულებების წყარო და ერთგვარი სულიერი საყრდენიც კი. თუმცა, ხშირად, მძიმე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ვითარება ადამიანებს სამშობლოს დატოვების გადაწყვეტილების წინაშე აყენებს. ასეთ დროს კი გვებადება კითხვა: არის ეს გაქცევა და ხსნა ამ ადამიანისთვის თუ მის წინაშე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებაა?

ერთის მხრივ, სამშობლოდან წასვლა შეიძლება, ისეც განვიხილოთ, როგორც ხსნა. ადამიანი თუ თავის ქვეყანაში თავისუფლების, სიცოცხლისა ან ელემენტარული ღირსების დაკარგვის წინაშე დგება, იძულებულია გაქცევით თავი „გადაირჩინოს“. ლტოლვილთა ისტორიები ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია. თუ როგორ გადმოდიოდნენ ომის დროს უღელტეხილებით, გორი-გორა სამშვიდობოსკენ. მათ, არცერთს არ სურდათ თავისი მხარის დატოვება. მაგრამ სიცოცხლის ფასად მოუხდათ. ასეთ შემთხვევაში სამშობლოს დატოვება ღალატი არ არის, პირიქით, ეს ადამიანები უფრო განიცდიან ამ მდგომარეობას.

მეორეს მხრივ, არსებობს შემთხვევები, როდესაც სამშობლოდან გაქცევა შეიძლება აღვიქვათ როგორც პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. როდესაც ადამიანი „უფრო კარგი“ ცხოვრებისათვის ტოვებს დედას, მის სამშობლოს, ის უარს ამბობს ქვეყნის წინაშე მოვალეობებზე და საერთო ბედის გაზიარებლად ყოფნაზე. ასეთი განდგომა შეიძლება აღვიქვათ, როგორც მორალური სირთულის ნიშანი, პირადი ინტერესის მამულზე მაღლა დაყენება.

სამშობლოსადმი სიყვარული მხოლოდ ფიზიკური ყოფით არ განისაზღვრება. ხშირად, უცხოეთში მცხოვრები ადამიანები თავიანთი საქმიანობით, კულტურის პოპულარიზებითა და სამშობლოს დახმარებით უფრო მეტს აკეთებენ ქვეყნისათვის, ვიდრე ისინი, ვინც ფიზიკურად შინ დარჩნენ, მაგრამ გულგრილები არიან სამშობლოს მიმართ.

სამშობლოდან წასვლა ზოგჯერ ხსნაა, ზოგჯერ კი პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. მთავარი საზომი არის განზრახვა, გარემოება და ის, რასაც მოიმოქმედებ. სამშობლოს სიყვარული ადგილსამყოფლით არ იზომება. არ აქვს მნიშვნელობა, სად ხარ. მთავარია, გულის სიღრმეში შენს ქვეყანაში, შენს მიწა-წყალზე ყოფნა გინდოდეს. ის სწორედ მაშინ იფურჩქნება, როცა, მიუხედავად ყველანაირი დაბრკოლებისა, ადამიანი თავისი ქვეყნის წარსულზე ფიქრობს, აწმყოსა და მომავალზე ზრუნავს.

ნუციკო ციხელაშვილი, მე-9 ბ კლასის მოსწავლე

სამშობლოს მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინად ვერ მოვიხსენიებდი. მას დედის სამზარეულოდან გამომავალ სურნელს შევადარებდი. -უბანში, კაკლის ხეების ქვეშ, ჩვენს ტანზე მორგებულ სკამებზე სხდომას და საუბარს, იმ მტვრის სუნსა და მასში თამაშს მთელი ბავშვობის განმავლობაში. ვიტყოდი, რომ სამშობლო მეხსიერებაა. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, მას რომელიმე ერთ გრძნობად ჩამოვაყალიბებდი, რომელიც ყველაზე გამორჩეული და სიყვარულით სავსე იქნებოდა. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ამ მიწაზე დარჩენა ტკივილთან ასოცირდება? როცა ჰაერი, რომელსაც სუნთქავ, მძიმეა სიჩუმით, შიშით ან ცრემლით? როდესაც ქუჩები, რომლებზეც ბავშვობაში სირბილი გიყვარდა, ახლა დანგრეულია ჩვენს გონებაში? გაქცევა, შეიძლება, ხსნად მოგეჩვენოს ასეთ დროს. ეს იქნება შანსი იმისა, რომ თავი დააღწიო აუტანელ რეალობას და ახალი სიცოცხლე დაიწყო იქ, სადაც არავის სცალია შენთვის, მაგრამ არავინ გემტერება. თუმცა, გაქცევა ყოველთვის თავისუფლებაა? ზოგისთვის ის წარსულის მიტოვებაა, ვალდებულებებისა და გარდასული ცხოვრების ან ადამიანების დავიწყებაა. უარყოფაა იმ პრობლემებისა, რომლებიც ასე ძალიან გვაწუხებდა. სწორედ მაშინ გაქცევა გეოგრაფიული მდებარეობის შეცვლა აღარ არის. ეს ზნეობრივი გადაწყვეტილებაა. ადამიანმა შეიძლება გადააბიჯოს ფიზიკურ საზღვარს, მაგრამ სინდისის საზღვარს ვერასდროს გადალახავს.

შეიძლება სხვანაირადაც შევხედოთ... იქნებ ზოგჯერ მეტი სიმამაცე სჭირდება წასვლას, ვიდრე დარჩენას? პასუხისმგებლობა შიძლება გახდეს გადარჩენა საკუთარი თავის, ოჯახის ან მომავლისთვის. ვინ თქვა, რომ მხოლოდ იარაღით ხელში მებრძოლია გმირი? იქნებ ისიც გმირია, ვინც შვილის გულისთვის ტოვებს ყველაფერს და უმისამართოდ მიდის, ოღონდ მისი სიცოცხლე გადაარჩინოს.

შესაზძლოა, სამშობლოდან გაქცევა ერთდროულად იყოს, როგორც ხსნა, ასევე პასუხისმგებლობის თავიდანაცილება. ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავზომავთ საკუთარ მოქმედებას, ასევე ჩვენს ტკივილს სხვების მიტოვებაზე. ყოველ შემთხვევაშიგადაწყვეტილება არ არის მარტივი და არც აბსოლუტურად ჭშმარიტი პასუხი არსებობს ამ კითხვაზე. ~

მთავარია, რომ არ დავივიწყოთ: სადაც უნდა წავიდეთ, სამშობლო ჩვენთვის არ დარჩება მხოლოდ ადგილად. ის ყოველთვის იქნება ნაწილი ჩვენი სულისა. მისგან ვერ გაიქცევი ბოლომდე. მასთან შეხვედრა და „მოლაპარაკება“, ადრე თუ გვიან, მაინც მოგიწევს. ეს იქნება ღამით, ჩვენს ღრმა ფიქრებში, სიზმრებსა თუ იმ თვალებში, რომლებსაც სარკეში ყოველდღე შევხედავთ.

სანდრა სამხარაძე, მე-9 ბ კლასის მოსწავლე

სამშობლო ის სახლია, სადაც პირველად გაიცინე თუ იტირე, სადაც შენი ფილტვები პირველად აივსო ჰაერით, სადაც აიდგი ფეხი. მოკლედ რომ ვთქვათ, ის დასაბამია ყოველივესი. ფეს-ვებია, რომლებიც გასაზ-რდოებს. და როცა წამოიჭრება საკითხი - სამშობლოდან გაქცევა- ხსნა თუ პასუხისმგებლობების თავიდან აცილება, ამაზე პასუხს ვერ მოძებნი.

სამშობლოდან გაქცევა ხშირ შემთხვევაში ხსნაა, გაქცევა ტკივილისგან და სადმე, გადაკარგულში სიმშვიდის მოპოვება. გაქცევა სისიხლიანი ომისგან ან თუნდაც, გაქვცევა თავისუფლების საპოვნელად. სადღაც გადაკარგულში ზიხარ და უკვე შვებას გრძნობ. მას მალე ბედნიერების გრძნობაც მოჰყვება, მაგრამ ამ განცდას ნოსტალგია მუდამ თან ახლავს, ამიტომაც გაქცევა ხანდახან ხსნაცაა, როცა სხვა გზას ვერ ხედავ, უბრალოდ, უჩინარდები, ვერავინ გცნობს და განგიკითხავს. მაგრამ, შემდეგ, სულ ცოტა დაფიქრებისას, ხვდები, რომ გზა მხოლოდ ერთი არაა და თავისუფლად შეგიძლია გეზის შეცვლა. აქედან გამომდინარე, ხშირად გაიელვებს ხოლმე თავში, რომ ხანდახან გაქცევა, რომელიც ხსნად გეჩვენებოდა, უბრალოდ პასუხისმგებლობებისგან თავის არიდების მცდელობა ყოფილა და სხვა არაფერი. შენ გაიქეცი მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდი ადამიანებს. გაიქეცი, როცა ზედმეტად გადაიტვირთე, შესაძლოა, აფეთქდი კიდეც. მაგრამ ეს ხომ დროებითია?!

აქედან გამომდინარე, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ვერ იარსებებს. ვერასდროს მიხვდები, სხვას რამდენად უჭირს, შესაძლოა, განიკითხო კიდეც, მაგრამ, რაც მთავარია, შენ შეგიძლია პასუხისმგელობაც ხსნას მიაწერო და ისე იფიქრო იმ ადამიანზე, რომელიც გაიქცა. კი, ხშირად ხსნაცაა პასუხისმგებლობებისგან გაქცევა, მაგრამ, გახსოვდეს, რომ მსგავსი ხსნა დროებითია, მალე მიხვდები, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი რამ დატოვე უკან, სამშობლოში... ვინ იცის, იქნებ ამის გააზრება მერე გვიანიც იყოს...

კესო მაჭარაშვილი, მე-9 ბ კლასის მოსწავლე

სურამში, ბუღაურას დასახლებაში, გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

„ ამ ეტაპზე ხორციელდება ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება ბეტონის საფარი,მოეწყობა სანიაღვრე არხები, გაკეთდება კედლის დამცავები. პროექტი ერთი წლის ვადაში დასრულდება.“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვეფხია ბლიაძის განმარტებით, სამუშაოები, ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 589 085 ლარს შეადგენს.

ხაშურში, ყაზბეგის ქუჩაზე, რამდენიმე ათეული წითელი ნეკერჩხალი დაირგო

„ჩვენი ქალაქის გალამაზებასა და მწვანე სივრცეების მოწყობას აქტიურად ვაგრძელებთ. ამჯერად, ტაბიძის პარკის მიმდებარედ, ყაზბეგის ქუჩაზე ირგვება ხე-მცენარეები და აღნიშნული ტენდენცია კვლავაც აქტიურად გაგრძელდება“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ყაზბეგის სკვერში, გამწვანების სამუშაოებს, ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ხელმძღვანელობს.

წითელი ნეკერჩხალი საკმაოდ სწრაფად მზარდი მცენარეა და უახლოეს 3-4 წელიწადში პარკის მიმდებარე ტერიტორიას სრულიად განსხვავებულ ელფერს შესძენს.

-ფეხბურთი-

„ივერია“ ქუხს და მძვინვარებს...

ისეთი „მჭექარე“ სათაური გამოვიტანე, ზოგს ალბათ, გაეღიმება კიდეც. მაგრამ ფაქტია, ექვსი ტურის შემდეგ, ექვსი მოგებით და მხოლოდ ორი გაშვებული გოლით ცხრილის სათავეში ამაყად დგას ჩვენი საყვარელი გუნდი და უახლეს მდევარს მთელი ხუთი ქულით უსწრებს. სიმართლე ითქვას, ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც კი ვერ იოცნებებდა ასეთ სტარტზე.

ეს ყველაფერი კი საოცარი ემოციებით გვავსებს, ბოლო მატჩიც ისეთი ემოციებით დატვირთული გამოვიდა, დიდხანს რომ გვემახსოვრება. აბაშის „ზანასთან“, თამაშის დასაწყისში, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ივერია ყველა კომპონენტში ჯაბნიდა მეტოქეს და ეს შედეგშიც აისახა-საბა ზაზიკაშვილის აქტიურობას ავტოგოლი მოჰყვა და „ივერიაც“ დაწინაურდა-1:0. მეორე ტაიმში სცენარი არ შეცვლილა და ივერიელთა შეტევებს სტუმრები იშვიათი კონტრშეტევით პასუხობდნენ. თითქოს მატჩიც ასე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სტუმართა ბოლო გაბრძოლებას, როგორც იტყვიან „ჩხინკი“ გოლი მოჰყვა და ეს ხდება შეხვედრის 89-ე წუთზე. მსაჯმა შეხვედრას 5 წუთი დაამატა. აი, სწორედ ამ დამატებული დროის მე-3 წუთზე გიორგი მახარობლიძემ 30 მეტრის სიშორიდან ისეთი დააქუხა და ბურთი ისე ლამაზად ჩააჭედა „ცხრიანში’, სტადიონი დაინგრა ოვაციებისგან.

აი, ასე! ექვსი თამაში, ექვსივე მოგება და 18 ქულა. საოცარია პირდაპირ. შემდეგი შეხვედრა „ივერიას“ უშუალო კონკურენტთან, მარნეულში უწევს და გვჯერა, ჩვენი ბიჭები არც იქ შეირცხვენენ თავს.

სურათზე: „ივერიას“ უკვე საკუთარი ფან-კლუბი ჰყავს, რომელიც სწორედ რომ გუნდის მეთორმეტე მოთამაშეა(მათ შესახებ, უფრო ვრცლად, იხილეთ გაზეთის შემდეგ ნომერში).

გ. გოგოლაძე

ფესტივალს „მომავლის ვარსკვლავები“ ხაშურელი გამარჯვებულები ჰყავს

ამ დღეებში, თბილისში, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“ გაიმართა. ფესტივალი უკვე მეთორმეტედ იმართება და მისი მთავარი მიზანი მოზარდებში იმ ტალანტების მოძიებაა, რომლებიც მომავალში ქართული მუსიკის ავანგარდში უნდა დადგნენ. ფესტივალს საქართველოს ყველა კუთხიდან ჰყავდა მუსიკოსები. თუმცა, მანამდე იყო შესარჩევი კონკურსები. ერთ-ერთი ასეთი კონკურსი ხაშურის სამუსიკო სკოლაში გაიმართა და მასში, ჩვენი პატარა მუსიკოსების გარდა, ქარელის, ბორჯომის, ახალციხის, კასპის, გორის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. კონკურსში, ფესტივალზე გასამგზავრებლად ხაშურიდან ორი მუსიკოსი შერჩა - ალექსანდრე ავაქიანი (ვიოლინო, მესამე კლასი) და თეკლა კაპანაძე (ვიოლინო, მესამე კლასი, პედაგოგი ფატი სადაღაშვილი, კონცერტმეისტერი თეა ტატიშვილი). მათთან ერთად გამარჯვებულთა შორის დასახელდა სამუსიკო სკოლის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი მერი ჭანკოტაძე). უშუალოდ ფესტივალზე სამივე ჩვენი წარგზავნილი შესანიშნავად წარსდგა. ალექსანდრე ავაქიანის შესრულებულმა „ჩარდაშმა“ (კომპოზიტორი ა. კურჩი) და თეკლა კაპანაძის შესრულებულმა ბახის #1 სონატა „პრეტო“-მ მაღალი შეფასებები დაიმსახურეს. ოვაციები არ მოკლებია გუნდის მიერ შესრულებულ სიმღერებსაც. საბოლოოდ, კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, სამივე ჩვენი კონკურსანტი ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა, რაც ძალიან დიდი წარმატებაა პატარა მუსიკოსებისათვის.

ვულოცავთ მათ ამ გამარჯვებას, ვულოცავთ მათ პედაგოგებსაც და გვჯერა, ისინი კიდევ ბევრჯერ ასახელებენ ჩვენს ქალაქსაც და მთელ საქართველოსაც.

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალური ანსამბლი „ფრესკა“ შვედეთიდან გამარჯვებული ბრუნდება

ანსამბლი, ფესტივალ „Baltic Breeze“-ის გრანპრის მფლობელი გახდა.

„ფრესკა“ ორი დღის განმავლობაში მართავდა კონცერტებს, Tallinn-Stockholm-Tallinn ის კრუიზზე „Baltic Queen ship“, სადაც დიდი ოვაციები დაიმსახურა

და საბოლოოდ, ხალხური ცეკვების ნომინაციაში გრანპრი აიღო.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მსოფლიოს წამყვანი ქორეოგრაფიული თუ თანამედროვე საშემსრულებლო ჯგუფები მონაწილეობდნენ.

წარმატებული ტურის შემდეგ, ხაშურის მუნიციპალური ანსამბლი „ფრესკა“ მშობლიურ მუნიციპალიტეტს 6 მაისს დაუბრუნდა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.